„ჩინგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი • №15-16 (9487-88) • 1-31 აგვისტო • ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

აგვისტოს ტრაგიკული დღეები გაიხსენეს

სენაკში, პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრებისა და რუსეთის აგრესიას შეწირული მშვიდობიანი მოქალაქეების ხსოვნას.

ხსოვნის მემორიალი გვირგვინებით შეამკეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ კახაბერ რუსიამ, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბადრი კალანდარიშვილმა, აგვისტოს ომში დაღუპული სენაკელების ოჯახის წევრებმა, თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ხსოვნის მემორიალის შემკობის შემდეგ, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, აგვისტოს ომის მსხვერპლთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა.

12 წელი გავიდა აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებიდან. რუსეთის აგრესია, დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, სწორედ სენაკმა იწვნია ყველაზე მძიმედ. მნიშვნელოვნად დაზიანდა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.

ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალები: თემურ ბოკუჩავა და ლევან თეფანია, ქალაქის დაბომბვის შედეგად დაიღუპა სამი მოქალაქე: მეირა ინჯგია, ჯონი და როლანდ ქარდავები. იყო მსხვერპლი სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზის დაბომბვისას.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა გივი მისაბიშვილმა, პატივი მიაგეს და ყვავილებით შეამკეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალის, თემურ ბოკუჩავას საფლავი.

„მინდა განსაკუთრებული მოწიწება გამოვხატო ჩვენი დროის გმირი ჯარისკაცებისა და რუსეთის აგრესიას შეწირული მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ. ქედს ვიხრი მათი და, განსაკუთრებით, ამ უმძიმეს დღეებში დაღუპული ჩვენი თანამოქალაქეების ხსოვნის წინაშე. მათი სახელები არასოდეს მიეცემა დავიწყებას" - აღნიშნა ლევან კუპრეიშვილმა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2008 წლის აგვისტოს ომში და ავღანეთში, ISAF-ის მისიაში, დაღუპულთა ოჯახებს 500-500 ლარი გადასცა.

***

8 აგვისტოს, საღამოს, ხსოვნის მემორიალთან, ომის ამსახველმა ფოტოქრონიკამ ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ტკივილიანი დღეები კიდევ ერთხელ გააცოცხლა.

მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდა მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქნა ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია, რომელშიც მონაწილეობა თემურ ბოკუჩავას ვაჟმა, ალექსიმ მიიღო.

ამფითეატში გამართულ თემატურ საღამოზე, სენაკის სათემო განათლების ცენტრში გაწევრიანებულმა ახალგაზრდებმა, აგვისტოს ომის ტრაგიკული დღეები გაიხსენეს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ბიჭების გმირობის ისტორიებზე ისაუბრეს.

8 აგვისტო სენაკში, აკიაფებული სანთლებითა და 2008 წლის 11 აგვისტოს, შინდისის უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეულის გმირობაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის - „შინდისის გმირები" ჩვენებით დასრულდა.

მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის პროცესი

სენაკის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით, საგზაო-სარეაბილიტაციო და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე, 7 კორპუსის - რუსთაველის №170, №182, №239, №241, №245, №247, №251-ში მდებარე კორპუსების გარე კედლების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის პროცესს, დღეს, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, ვახტანგ ფაცაციამ, ამავე სამსახურის სპეციალისტებმა - გელა ჯანაშიამ და ირაკლი საჯაიამ დაათვალიერეს.

სამუშაოებს, ღირებულებით 123 098 ლარი, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „პირამიდა 1" აწარმოებს.

მოხალისეთა ჯგუფები - მოქალაქეთა დასახმარებლად



სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი მოხალისეთა ჯგუფები, ქალაქის, ახალსოფლის, გეჯეთისა და ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულებში იმყოფებოდნენ,სადაც მერის წარმომადგენლებთან ერთად,

მოქალაქეებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის,გიორგი გახარიას გადაწყვეტილება - საქართველოში მცხოვრები ყველა არასრულწლოვანი ბავშვისთვის (0-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით), სახელმწიფოსგან 200 ლარიან დახმარების გაწევის თაობაზე - ინფორმაცია მიაწოდეს და შესაბამის ელექტრონულ პორტალზე დაარეგისტრირეს.

კამპანია გაგრძელდება და მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა, ადგილებზე, კომფორტულად შეძლონ აღნიშნული სერვისით სარგებლობა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე გამოიყო თავისუფალი სივრცე, სადაც ნებისმიერი მოქალაქე შეძლებს მისვლას და რეგისტრაციის გავლას.

0-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვების მშობელს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს, სპეციალურ პორტალზე დარეგისტრირებაში დახმარებას მერის წარმომადგენლები გაუწევენ.

დაინტერესებულ მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, ხოლო ქალაქში მცხოვრებმა მოქალაქეებმა - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, შემდეგ **მისამართზე: ქ. სენაკი, ჭავჭავაძის 103**

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

უფასო მამოგრაფიული გამოკვლევა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, შპს ქალთა ჯანმრთელობის ცენტრ „ჰერას" მედიკოსებმა, თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილ მობილურ კლინიკაში, ქალბატონებისთვის - 40 წლის ასაკიდან 70 წლის ასაკის ჩათვლით, სარძევე ჯირკვლის უფასო მამოგრაფიული გამოკვლევა ჩაატარეს. სკრინინგის მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნატალია ხუბუა, კლინიკა „არქიმედეს" დირექტორთან, მარეხი ადანაიასთან ერთად გაეცნო.

„უფასო მამოგრაფიული სკრინინგი ჩვენს ქალაქში, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალბატონებისთვის, საჭირო და მნიშვნელოვანი სეგმენტია, რადგან მოქალაქეების დიდი ნაწილი სხვადასხვა მიზეზთა გამო, დროულ გამოკვლევას ვერ ახერხებს. სკრინინგის შედეგად, საწყის ეტაპზე, პათოლოგიის გამოვლენა კი ნიშნავს მრავალ გადარჩენილ სიცოცხლეს, რადგან ადრეული დიაგნოსტიკა, საუკეთესო პრევენციაა დაავადებასთან ბრძოლაში" - აღნიშნა ნატალია ხუბუამ.

მუნიციპალიტეტის მერიაში
(გაგრძელება)

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით შერჩეული 54-ივე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე, გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები ხორციელდება.

გეჯეთი-წყემის დამაკავშირებელ გზაზე და მეურნეობის უბანში, გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულებულია.

ასევე, დასრულებულია, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბათარიას უბანში, საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროცესი.

უახლოეს დღეებში, სახარბედიოს უბანში, გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები დაიწყება.

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში — ცენტრის რეაბილიტაციისა და საოდიშარიოს უბანში — გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

სოფელ შუა ნოსირში, საბავშო ბაღის შენობისა და მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია დასრულებულია.

უახლოეს დღეებში, საბესელიოსა და საკილასონიოს უბნებში, გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები დაიწყება.

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში — სოფელ ისულასა და საგადელიოს უბანში, გარე განათების ქსელის მოწყობითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

აღნიშნულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს შპს „მშენსერვისი - 7” ახორციელებს.

”სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, სოფლის პრიორიტეტები, მოსახლეობამ თავად განსაზღვრა.

* * *

გეჯეთი-ნოქალექევის ადმინისტრაციულ ერთეულების დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე გარე განათების ქსელის მოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მსგავსი სამუშაოები დღემდე არ განხორციელებულა.

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი ანალოგიურ სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ეტაპობრივად განახორციელებს.

სენაკის მუნიციპალიტეტში, გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები 2018 წლის იანვრიდან დაიწყო და მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით, დღემდე აქტიურად ხორციელდება.

,,ეროვნული ფარეხების“ ფარგლებში



ქალაქ სენაკში, ,,ეროვნული ფარეხების” ფარგლებში, ,,ეროვნული ფარეხების” ეროვნული ინოვაციური ცენტრის ინიციატივით

ახალი წიგნები

წიგნის, „სენაკის საპატიო მოქალაქეები“ პრეზენტაცია

დღეს, ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში, წიგნის - „სენაკის საპატიო მოქალაქეები” პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი, რომელიც საპატიო სენაკელების ბიოგრაფიასა და ღვაწლს აღწერს, დამსწრეთ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა და მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ, სენაკის საპატიო მოქალაქემ, წიგნის ავტორმა, ანზორ ცაგურიამ წარუდგინეს. ღონისძიებას, სენაკის საპატიო მოქალაქეებთან და მათი ოჯახის წევრებთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარის მოადგილე, ინგა ქარდავა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ეს არის წიგნი, რომელიც ჩვენი ქალაქისთვის გამორჩეული ადამიანების განსაკუთრებულ მოღვაწეობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. ფასდაუდებელია იმ 98 საპატიო სენაკელის ღვაწლი, რომლებზეც აღნიშნული წიგნი მოგვითხრობს” — აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

ლევან კუპრეიშვილმა, ავტორთან ერთად, წიგნი, საპატიო მოქალაქეებს და მათი ოჯახის წევრებს, საჩუქრად გადასცა.

წიგნი - „სენაკის საპატიო მოქალაქეები” სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გამოიცა და მასში მოთხრობილია იმ ადამიანებზე, რომელთაც ეს საპატიო წოდება 1988 წლიდან 2020 წლის ჩათვლით მიენიჭათ.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

წარსულისა და აწმყოს სიმბოლო



ვენედიქტე (ვენე) არჩაია

ის კაბინეტში გვიან ღამემდე არ ქრებოდა შუქი: ხაზადა, ადგენდა, აპროექტებდა. სისხამ დილით კი, მშობლიურ სენაკზე უსაზღვროდ შეყვარებული, დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯებით დაივლიდა ქალაქის უბნებს, მშენებარე ობიექტებს მოინახულებდა, კირითხუროებს დამოძღვრავდა – მადლიან, საჭირო რჩევა-დარიგებებს მისცემდა და კიდევ ერთხელ თვალს შეავლებდა თავის დაპროექტებულ შენობა-ნაგებობებს, ხომ არაფერი დავაკელი. ასე დღემუდამ თავს დასტრიალებდა თითოეულს, სანამ დასრულებულ სახეს არ მიიღებდა...

თამაზ კანკია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით (მერი ლევან კუპრეიშვილი) გამოვიდა წიგნი „სენაკის საპატიო მოქალაქეები“

წიგნი გვაცნობს იმ ადამიანთა ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითად შტრიხებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სენაკის აღმშენებლობის საქმეში, მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ ცხოვრებაში.

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ „სენაკის საპატიო მოქალაქის“ წოდება დაწესდა 1988 წელს და 2020 წლამდე მისი ტარების პატივი ერგო 98 ადამიანს”.

წიგნის ავტორები არიან ღვაწლმოსილი პიროვნებები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ანზორ ცაგურია და საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვაჟა დანელია.

ეს გახლავთ აღნიშნული ავტორების რიგით მეორე წიგნი. 2014 წელს მათი ავტორობით გამოვიდა „სენაკი ჩემპიონთა საბუდარი“, რომელიც სენაკელ მოქალაქეებზე, ფეხბურთელებზე მოჭადრაკეებზე, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებზე მოგვითხრობს.

წიგნის „სენაკის საპატიო მოქალაქეები“ რედაქტორია ნაირა ღადუა, კორექტორი რომან კუპრეიშვილი, გარეკანის დიზაინი გიორგი ჭანტურია, კომპიუტერული უზრუნველყოფა დათო მოსიაშვილი. წიგნი დაიბეჭდა ქ. თბილიში შპ.ს. „კოლორში“ წიგნი გამოირჩევა მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით, ფერადი ფოტომასალით. მკითხველის ყურადღებას იქცევს საარქივო ფოტომასალები, რომელთა სიძველე წარმოდგენას გვიქმნის ძველ კოლხურ ადათ-წესებზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ ლევან კუპრეიშვილის თანადგომა წიგნის გამოცემის საქმეში.

მერი წინათქმაში აღნიშნავს: „როგორც წყლის წვეთში შეგიძლია დაინახო მთელი ოკეანე, ასევე, ამ წიგნში აღწერილ ადამიანთა ცხოვრებით შეიძლება გაიგო, როგორი გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობდა, სენაკის მუნიციპალიტეტი წლების განმავლობაში, რომელსაც ეს ადამიანები სხვებთან ერთად ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან”.

წიგნი წარმოდგენას გვიქმნის როგორც სენაკში, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, საზღვარგარეთ მოღვაწე სახელოვანი ქართველების ფენია დარასელია-შარტავას, კალისტრატე და ცისანა შარტავების, ანდრია აფაქიძის, ვენედიქტე არჩაიას, ვახტანგ დავითაიას, დემურ გადელიას, ბორის წიფურიას, ჯემალ აჯიაშვილის, ბონდო ჯიქიას, ვახტანგ სალაყაიას, ჰეინო კალასტეს, გურამ გვასალიას, გურამ ბათიაშვილის, რეზო ფაჩულიას, თამაზ კანკიას, მურმან ჯინორიას, ანზორ შომახიას, პაატა ქურდოვანიძის, ლია ჯიქია – გოგრიჭიანის და სხვათა მრავალთა ღვაწლზე მუნიციპალიტეტის და ქვეყნის აღმშენებლობის, წინსვლის საქმეში.

წიგნის ავტორებმა დიდი შრომა გასწიეს მასალების მოსაძიებლად. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საშვილიშვილო, ერთგვარად სამაგიდო წიგნი, რომელიც საპატიო სენაკელებთან ერთად უდიდესი წარსულის მქონე, დიდი ქარტეხილების მომსწრე მუნიციპალიტეტის ისტორიას ინახავს. წიგნი თავისთავად გახლავთ წარსულისა და აწმყოს სიმბოლო.

ვულოცავთ საპატიო სენაკელებს, ავტორებს, წიგნის მოყვარულ წიგნის გამოცემას. გამომცემლებს ვუსურვებთ ნაყოფიერ, შემოქმედებით საქმიანობას.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

„გარდასულ დღეთა ახალი სიცოცხლე“

ქტიურ საზოგადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას სენაკის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ჩაეყარა საფუძველი. საუკუნეების განმავლობაში ისტორიული კოლხეთისა და ეგრისის მიწაზე არაერთი სახელოვანი მამულიშვილი აღიზარდა, რომლებმაც ბევრი საამაყო ფურცელი ჩაწერეს მშობლიური მხარისა და ქვეყნის ისტორიაში.

სენაკს, რომლის სახელი ძველქართულად „სალოცავ დგილს“ ნიშნავს, მრავალი ქარტეხილისთვისაც გაძლია. სულ ახლახან, XX საუკუნის მიწურულს, ჩვენი ეთხე საბრძოლო პოლიგონად გადაიქცა. სირთულეის მიუხედავად, სენაკმა ნელ-ნელა მოიშუშა იარდა განვითარების გზას დაადგა. იმ სენაკელების (და ამხოლოდ) ღვაწლის გამოსარჩევად, რომლებსაც დიდამსახურება აქვთ მუნიციპალიტეტის წინაშე, 1988 ს ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილეა დაწესდა „სენაკის საპატიო მოქალაქის“ წოდება,

ლევან კუპრეიშვილი

მაღალყოვლადუსამღვდელოესი შიო

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარ-
პისკოპოსი, ავსტრალიისა და ახალი ზე-
პოლიტი შიო (ერისკაცობაში – ელიზ-
69 წლის 1 თებერვალს თბილისში დაა-
ლო სკოლის დამთავრების შემდეგ (პა-
ავლობდა სამუსიკო სასწავლებელში)
ისის სახელმწიფო კონსერვატორიის
ასში ჩაირიცხა. პირველ კურსზე მან
ის პირველი რესპუბლიკურ კონკურს-

ბბარ მუჯირი მორჩილად დაემკვიდრა
ტერში. ორი წლის შემდეგ კი ბერად
ა შიო. ჯერ მონასტრის ტრაპეზარი,
ყო. 1995 წელს დიაკვნად, მომდევნო
ა და უნეტარესმა, სრულიად საქარ-
ს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდლად

ცისანა შარტავა

აო ციცო!

შენი და შენი ორი ვაჟიშვილის ყველა დაბადების დღის აღსანიშნავად – ფარო გაგებით, შენი სათნოებით აღსავსე გულის კარნახით, შენს მიერ გაკეთებული ყველა სიკეთის ხაზგასასმელად, ნიშნად ულრმესი მადლიერებისა შენი სისხლისა და ხორცისადმი, შენთვის ძვირფასი ადამიანებისადმი თავგადადებული სიყვარულისათვის, იმის ნიშნად, რომ მათთვის ასწრებ ყველგან და ყველაფერს, შენი და შენი ორი შესანიშნავი ვაჟკაცის მარადიული სიხარულისა და ბედნიერების საწინდრად, საწინდრად იმისა, რომ ლევანი და გიგი დაიზრდებიან ისეთნი, როგორც ეს შენ გსურს, პირველ რიგში, და რისთვისაც არ იშურებ ძალასა და ენერგიას საწინდრად იმისა, რომ დაიზრდებიან ღირსეულ მამულიშვილებად, – გიძღვნით ამ სუვენირს და ამ მოძღვნაში ღრმა სიმბოლურობაა ჩაქსოვილი.

მადლობა იმისათვის, რომ შენ ასეთი ხარ – თბილი და პირუთვნელი, სათნო და მამაცი, ნიჭიერი და თავმდაბალი, ერთგული და თავდადებული, ყველა ჩვენგანის ლხინის და ჭირის გამკითხავი, ყველაფერში ჩვენი თანამდგომი!!!

დემურ გადელია

ების გამკითხავი, ქველმოქმედი, უპო-
უბედოთა დამპურებელი, ქართული
ადიციების დამფასებელი, ლაკადური
ული არქეოპოლისისა და ძველი ციხე-
და მეციხოვნე – ასე შეაფასა რამდენი-
ეტმა გენო კალანდიამ ღირსეული მა-
ემურ გადელიას ღვაწლი, დამსახურება
ებისა, რომელსაც სამოქალაქო ომის
ღლეებშიც არ დაუთმია პოზიცია: კრი-
საქართველოში მოთარეშე ბანდებ-
ადეს მისი მოდრეკა, დაშინება, განად-
აიტაცეს და მძიმედ დაჭრეს, მაგრამ
ბმო არ მიუტოვებია და განაგრძობდა
ბდა, აიმედებდა მთელ კოლექტივს...
წინააღმდეგობებით სავსე, მაგრამ
ანვლო ბატონმა დემურ გადელიამ 80
ში.

ახალი წიგნები

„ეს პატარა სამოთხე გულზე დაგვაბნევინე“...

მიმოზა ჯიქია ჩვენი რესპონდენტის, ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ლუარა ჯიქიას დაა. კოკი (რაჟდენ ჯიქიასა და ლიდა შავდიას მრავალშვილიან ოჯახში დაბადებული ქალბატონი გამოირჩევა შემოქმედებითი უნარით, წერს ლექსებს, ჩანახატებს.

სპეციალობით გერმანისტი მუშაობდა საქართველოს გეოფიზიკის ცენტრში, ღრმადინტელექტუალური ახალგაზრდა მუშაობდა პირველ კომპიუტერებზე, აღმოაჩინა გოდოგრაფიის პრინციპის ფორმულა, ათეული წლების შემდეგ ჩამოყალიბდა სანიმუშო გეოლოგად.

მიმოზა ჯიქია სანიმუშო ოჯახის დედაბოძია. მეუღლე გენადი მამაგულაშვილი განსწავლული პიროვნებაა. თამარი, სალომე, ნინო მამაგულაშვილები საუკეთესო სპეციალისტები და ღირსეული მოქალაქეები არიან.

მიმოზა ჯიქიას საფიქრალი-დედასამშობლოს ნამყო, აწმყო და მყოფაადია. ის სამაჩაბლოს ზარების ისევ დარეკვას, აფხაზური ვარადას ისევ აჟღერებას, მამულისათვის დანთხეული ცრემლების გაქარწყლებას თხოვს უფალს”

გთავაზობთ მიმოზა ჯიქიას ლექსებს.

ჩემო აფხაზეთო–ჩემო მახარია!

(საქართველო-აფხაზეთს)

ჩემო აფხაზეთო - ჩემო ნატვრისთვალო,
ჩემი ოცნებების დიდო კელაპტარო,
მინდა შეგახსენო, მინდა შეგითვალო:
ჩვენგნით დათხეული ცრემლი გააქარწყლო!
ჩემო აფხაზეთო–ჩემო მახარია,
შენი ნახვა მინდა – გნატრობ, რახანია!..
მინდა ავაშენო შენთვის წმინდა ნიშა...
ალბათ, მიმიხვდები –ჩემთვის რასაც ნიშნავ!

ძნელია, გაუძლო მარტომ იმ დიდ ტკივილს:
მტერს ნუ დანებდები,
მტერს ნუ მიენდობი!
მე ვარ... შენი ძმა და
მე ვარ... დედაშენი,
ერთად მოვიშუშოთ ჩვენი იარები.
მეც დამაკლდა ჯანი, მეც მომკვეთეს მკლავი,
როცა იქ დაეცა ჩვენი წინაპარი.
მცდარი იყო მაშინ ჩვენი ნაფიქრალი,
დღეს ჩამოვკრათ ერთად
ჩვენ ილორის ზარი!

გულით დავატარებ მეც უსაზღვრო ტკივილს,
როგორ ვერ მივუხვდით
მაშინ ჩვენ მგელის ყმუილს?!
მოდიოდა მტერი და მოჰქონდა ცელი,
რომ მოესპო ჩვენთვის ძმობის საძირკველი.

ჩვენ, ორივე ერთად, ერთ სხეულად ვიქცეთ –
ფეხზე რომ წამოვდგეთ –ისევ არ წავიქცეთ,
მოღალატე გული თვითონ მოვიგლიჯოთ
და ორივე ერთად ერთი გულით ვიყოთ!
ჩემო აფხაზეთო –ჩემო მახარია,
შენი ნახვა მინდა, გნატრობ რა ხანია!
ალბათ, უკვე მიხვდი, ჩემთვის რასაც ნიშნავ:
მინდა ავაშენო შენთვის წმინდა ნიშა!..

მიწა დაგვაკემსინე

ათასჯერ დამიფლეს მე
სამშობლო ალაგი.
ღმერთო, შენ შეგვიბრალე –
კიდევ დაგვდე ამაგი!
ღმრთისმშობელის წილხვედრი
მიწა დაგვაკემსვინე,
სამაჩაბლოს ზარები
ისევ დაგვარეკინე,
უდიდესი ილორის
ლოცვა გაგვაგებინე,
აფხაზური „ვარაიდა“
ისევ აგვაჟღერინე.
ომსშეწირულ ბიჭებთან
მუხლი მოგვაყრევინე,
მოტირალი დედები
გულში ჩაგვაკვრევინე.
ეს პატარა სამოთხე
გულზე დაგვაბნევინე,
მიტოვებულ საფლავთან
ვარდი დაგვარგვევინე,
წინაპრების ნეშტებთან
მუხლი მოგვაყრევინე!

სააკვნე ხე

უზარმაზრი ხე მოჭრეს დილით –
ეზოში ეგდო იგი პირღია,
ტოტებს აცლიდა და ღიღინებდა
ას წელს მისული პაპა ილია.
რომ დავინახე, გამსჭვალა ტანში
და გამაოცა პაპის ღიღინმა,
ნუთუღა გული არ დასწყდა მოხუცს –
არ აატირა ამ ხის ტკივილმა?!
ვერც რა შევბედე, რადგან ვიცოდი,
პაპაჩემს იგი წლებით უსწრებდა,
ვიდექი როგორც ნაცემი ბავშვი,
თვალთაგან მწარე კურცხლები მომწყდა.
მომხედა პაპამ – მიმიხვდა წუხილს,
შემომთავაზა ამ ხის გასხეპვა,
უარიც ვეღარ ვაკადრე მოხუცს,
მკერდში ვიგრძენი ტკივილის განცდა,
„ეს სააკვნეა, ჩემო მირიან,
შენი აკვანიც მე გამოვთალე:
შუაგულ ტყეში მოვკვეთე ის ხე
და მისი კვნესა არ შევიბრალე,
რადგან ვიცოდი, კიდევ მრავალი პირმშო
დროზე ელოდა აკვნის გამოთლას,
რომ გაზრდილიყო, რომ ეღიღინა
და ანთებოდა მამულს კელაპტრად.
გუშინ როდესაც შენთან ვიყავი,
ვიცანი უმალ ჩემი ჩუქურთმა,
ლამაზი ბიჭი ამკობდა აკვანს
და ღუღუნებდა გუგულივითა“.
უზარმაზარი ხე ჰკვეთეს დილით,
ეზოში ეგდო იგი პირღია,
ტოტებს აცლიდა და ღიღინებდა
ას წელს მისული პაპა ილია.

პაპის-პაპათა საძვალისათვის

მე ჩემს ფიქრებში დავეხეტები,
არ ვსტოვებ მიწას, მივსწვდი ზეცასაც,
უღირსი საქმე არსად მიქნია,
ჩემი წარსულის წამით რომ შემრცხვეს.
სხვისთვის არასდროს წამიგლეჯია
მამული მისი!
არ მიმიცია თავისთვის ნება,
რომ წამებილწა საფლავი მტრისი,
მაგრამ საკუთარს არვის დავუთმობ –
მე მინდა ჩემი, ჩემსას მოვითხოვ!
გთხოვთ, მაპატიოთ
თუკი უღირსი სიტყვა გაკადრეთ,
მაგრამ იცოდეთ მიწა ჩემია –
ღმრთივკურთხეული —
დიდ მარიამის სახელს ატარებს.
უფალი ჩვენი არ მიგვატოვებს!
როგორ კადრულობთ, როგორ გაბედეთ,
რომ ჩემს სამშობლოს ნაკუწებად ჰყოფთ!
არ მოგცემთ იმას, რაც მე მეკუთვნის,
ჩემია, თქვენ არ გეკუთვნით-
არ მიგიბოძებთ.
იცოდეთ, ღმერთი არ გაპატიებთ —
მოგისპობთ სარჩენს, დაგიმხობთ საბძელს,
თუ სხვის სიწმინდეს პატივს არა სცემთ!

თუ ხელს შეახებთ ამ ჩემს საუნჯეს,
გაგიჩენთ ისეთ ტკივილს და ძრწოლას,
რომ ვერასოდეს ჰპოვებდეთ შვებას!
ფეხი არ დაჰკრათ ამ ჩემს მამულს
და... და არ გაბრიყვდეთ!...
იგი ჩვენია, სხვათ არ გავუყოფთ!
როგორ და ვითა?
სადაც ბარს დაჰკრავთ –
ამოჰყვება ნაშთი წინაპრის!
ეს ყველა ძვალი ჩემს წინაპართა ნამარხი არი!
აქ ყველა ძვალი ჩემს წინაპართა ნამარხი არი!...
აქ განისვენებს ჩემი მოდგმის
და ჯიშ-ჯილაგის პაპისპაპები,
დიდედ-დედები, დები და ძმები –
ჩემი სისხლ-ხორცი და საძვალეთი უძველესი
შენ არ გეკუთვნის!
ეს საძვალეთი უძველესი ჩემი განძია,
ეს მე მეკუთვნის.
ახლა მე ვუვლი ძვირფას საძვალეთს!
ახლა მე ვუვლი და
უყოყმანოდ თავსაც გავსწირავ
ამ – ჩემი პაპის და
პაპისპაპის საძვალისათვის!
როგორ გაბედეთ, რომ
ჩემს სამშობლოს
ნაკუწებად ჰყოფთ?!
როგორ გაბედეთ!...

პატრონი გადინებულად!...

ჩემი სოფელი ლამაზი მთის კალთას დაკიდებულა,
ადიდებულა მდინარე, ტალღები აზვირთებულა.
ომისგან კიდედაცლილი კედლები დადუმებულა,
ჩამოქცეულა ჭერი და პატრონიგადინებულა,
ახალგაზრდობა სოფლიდან ქალაქში გამზევებულა,
ობლად დარჩენილ მიწაზე ბალახი აღყვავებულა,
უწინ ბიბინა ყანები ახლა სულ გაბელტებულა,
მშრომელი კაცის ნაბადი,
მტრის სანავარდოდ ქცეულა!...

უფალო, შეიწყალე...

(რუსეთ-საქართველოს ომს
შეწირულ მებრძოლებს)

გვედრი, უფალო, შეიწყალე იგი,
ვიმც ვერ მოასწრო შეცნობა თვისი,
ვინც ვერ მოასწარო ნათლობა თვისი,
ვეღარ ისმინა სიტყვანი ღვთისი.
გვედრი, უფალო, აკურთხე იგი,
ვინც ვერ მოასწრო გაწმენდა თვისი,
ვინც ვეღარ შექმნა ოჯახი თვისი,
ვინც ვერ დაიწერა ჯვარი ღვთისი.
გვედრი უფალო აცხოვრე იგი,
ვინც ვერ იპოვა ადგილი თვისი,
ვინც ვერ მოასწრო ცხოვრება თვისი,
ვინც ვეღარ დასთმო ტაძარი ღმრთისი.
გვედრი,უფალო, ადიდე იგი,
ვინც თავი გასწირა თვისი,
ვინც შვილი დასტოვა თვისი,
ვინც მოგვცა იმედი ღმრთისი,
ადიდე, ადიდე, ადიდე,
უფალო,
იგი...

ჩვენ ვაფერადებთ სამყაროს და ვართ მომავლის იმედი ...

მალე დაიწყება სიახლეებით, ოცნებებით, იმედით სავსე ახალი სასწავლო წელი. ეს დღე გამორჩეულია პირველკლასელებისათვის. პირველი გაღიმება, პირველი მასწავლებელი, პირველი დღის წარუშლელი შთაბეჭდილებები...

ძვირფასო ბავშვებო, გილოცავთ ამ ღირსსახსოვარ დღეს, დალოცვილ იყოს თქვენი. გზა გისურვებთ საფუძვლიანი განათლების მიღებას, რადგან თქვენ და მხოლოდ თქვენ შემოგყურებთ ერი იმედით. გფარავდეთ უღრუბლო ზეცა მარადჟამს.

ქეთევან ჭანტურია

ქეთევან ჭანტურიას დასაწყისი ეტაპისთვის საჭირო ცოდნა აქვს, სჯერა, რომ სენაკის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს.

ქეთევანმა იცის ლექსები, ზღაპრები, საბავშვო მოთხრობები. ოჯახში იზრდება ურთიერთპატივისცემის და სიყვარულის მაგალითით.

ქეთევან ჭანტურიას პირველ კლასში წასვლას ულოცავს გული კირცხალია. პოეტი ქალბატონი პირველკლასელს უძღვნის საკუთარ ლექსს.

მილოცვას უერთდება გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია, პირველკლასელს უსურვებს სიხარულს, ბედნიერებას, წარმატებულ სწავლას.

მიცნობდეთ

მე, მე - ქეთევანი მქვია სახელად,
ჭანტურია ვარ გვარად.
სულ ვიბეჯითებ, კარგად ვისწავლი,
აღარ ვიანცებ, არა.
მასწავლებელი – ვით ჩემი დედა
ისე მიყვარდეს მინდა –
წიგნი – რომ სიბრძნის წყაროა ვიცი,
სკოლა-ცოდნის გზა წმინდა.

ნინო ფიჩხაია

ლამაზი გოგონაა, იცის ბევრზე ბევრი ლექსი თუ ზღაპარი, ძალიან მკვირცხლი, მახვილი გონების და საღი აზროვნების, მრავალმხრივ განვითარებული ბავშვია. უყვარს ხატვა, ძერწვა, სიმღერა, ცეკვა. ოცნებობს გამოვიდეს თეონა ცირამუასავით მომღერალი. დიდმა რეზო ადამიამ უწინასწარმეტყველა თავის პერსონალურ გამოფენაზე, იქნებ მომავალ ელენე ახვლედიანთან უნდა გადავიღო სურათიო. ასევე სურს გამოვიდეს პატრული. მოკლედ ჯერ პროფესიების შერჩევის პროცესშია. განსაკუთრებით მეგობრობს ჯონი ბაბუასთან. ბევრი საიდუმლო აქვთ და დიდი გეგმები სამომავლოდ.

ეჩქარება დედაენის ჯადოსნურ სამყაროში მოხვედრა, ქართული ანბანის სწავლა, მოსწავლის დატვირთული გრაფიკით ცხოვრება.

მშობლების სიხარულს, ბებიას და ბაბუას „ორთავ თვალს" საკლასო ოთახში შეეგებებიან დაფაზე გამწკრივებული ასოები: „მე ვარ ასო ანი, მე გახლავარ ბანი, მე კი ასო განი". ნინო ფიჩხაიას სკოლაში წასვლას ულოცავენ მშობლები, თანატოლები. დაე, კარგი სწავლით ესახელებინოს წმინდა ნინოს მოსახელეს ქართველი ერი.

თეკლა ხოფერია

11 სექტემბერს თეკლა ხოფერია 6 წლის გახდება და №1 საჯარო სკოლის მოსწავლე გახდება და გამოცდის იმ დიდ ემოციასა და სიხარულს, რასაც პირველკლასელობა ჰქვია.

თეკლამ № 1 საბავშვო ბაგა-ბაღში უამრავი ლექსი და ზღაპარი ისწავლა. გამოირჩევა პლასტიკურობა და დახვეწილი მანერებით. ძალიან მეოცნებე და მოსიყვარულეა. პრანჭია და ცელქიც. მე რა, თუ ხანდახან ბიჭებსაც გაეჯიბრება. გოგონას თავისი ზღაპრული სამყარო აქვს, სათამაშოებს შორის მთავარი ადგილი თოჯინა „ბარბის" უჭირავს... მალე თოჯინებს, და სხვა სათამაშოებს სასკოლო ნივთები: წიგნები, რვეულები, ფერადი ფანქრები ჩაანაცვლებენ. უეჭველია გოგონა გამოავლენს თავის შესაძლებლობებს წარჩინებული მოსწავლე იქნება.

თეკლას სკოლაში წასვლას ულოცავენ დედ-მამა მარი ყველაიძე და ანდრი ხოფერია, უსურვებენ წარჩინებულ სწავლას და საუკეთესო მომავალს.

გიორგი საჯაია

გიორგი საჯაიას ფესვები სამეგრელოშია. მერე, რა, რომ მოსკოვში დაიბადა და მოსკოვში ცხოვრობს. საქართველოში პირველად 4 წლის ასაკში ჩამოვიდა, ამაყობს რომ ქართველია. ბუნებით ძალიან თბილია და მოსიყვარულე, გულისხმიერი, ცნობისმოყვარე, ინტერესიანი. უყვარს ცხოველები. მოსწონს ლალი ბებოსთან ურთიერთობა, ხშირად ურეკავს და ეტიტინება, ახალ ამბებს უყვება. შთაბეჭდილებებს უზიარებს.

საბავშვო ბაღში ყოფნისას შეისწავლა ლექსები, ზღაპრები, უყვარს ანიმაციური ფილმები, კომპიუტერული თამაშები. გატაცებულია ცურვით და ფეხბურთით.

გიორგიმ წარმატებით გაიარა გასაუბრება და ჩაირიცხა მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟული კერძო ლიცეუმის პირველ კლასში. პირობას აძლევს ამერიკაში მყოფ მამიკოს ირაკლი საჯაიას, რომ იქნება ბეჯითი მოსწავლე.

გიორგის ჩვენგან განსხვავებით სწავლა 1 სექტემბერს ეწყება. ლალი ბებო ულოცავს სწავლის დაწყებას, უსურვებს საფუძვლიანი განათლების მიღებას. პატარა ქართველო, გფარავდეს უღრუბლო ზეცა მარადჟამს!

ანასტასია ხახუბია

ეს ლამაზი, თვალებდღვრიალა გოგო ანასტასია ხახუბიაა. ტასო, როგორც ახლობლები ეძახიან ძალიან მკვირცხლი, მახვილი გონებისა და საღი აზროვნების ბავშვია.

ანასტასიამ დაამთავრა საბავშვო ბაღი „ანამარია". ბევრი ლექსი და ზღაპარი იცის, მღერის, ასრულებს მარტივ მათემატიკურ მოქმედებებს, გამოირჩევა ცეკვისადმი ბუნებრივი მიდრეკილებით. ახასიათებს პლასტიკურობა და დახვეწილი მანერები. ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეგაში" ეუფლება ქართული ცეკვის ხელოვნებას.

მშობლების ნათია არჩაიას და დავით ხახუბიას გადაწყვეტილებით ტასო კერძო სკოლა „მარიოტას" პირველკლასელი გახდება. ისინი ულოცავენ ქალიშვილს ცოდნის გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმას. უსურვებენ ბეჯით სწავლას და წარმატებულ დღეებს.

ქეთათო დამენია

ქეთათო დამენია ლამაზი და ჭკვიანი გოგონაა, უყვარს ლამაზი კაბები, მერე დიდხანს კოპწიაობს სარკის წინ. შესანიშნავად ცეკვავს, კითხულობს ლექსებს, რაც მთავარია უყვარს წიგნები. ძალიან მოსწონს დიდივით რომ ექცევიან და ისიც იფერებს.

ქეთათომ ქართულ-რუსული ბაღ „ზღაპრული კოშკში: შეისწავლა ბევრი ლექსი და მოთხრობა, გაეცნო მათემატიკურ მოქმედებებს, დასაწყისი ეტაპისთვის საჭირო ცოდნა აქვს, სწამს რომ სკოლა „მარიოტაში" უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს.

ქეთათოს სკოლაში შესვლას ულოცავენ ბებიები ქეთინო ხურცია და ნაზი ქადარია და წარმატებებს უსურვებენ ცხოვრების ამ დიდ და ლამაზ ეტაპზე. ფარავდეს მის გზა-სავალს უფლის თვალი და ღვთისმშობლის მადლიანი კალთა.



ანდრია სალაყაია

ანდრია სალაყაიამ დაამთავრა ბაგა-ბაღი ბარბარე. ჭკვიანი, დამჯერე, გულისხმიერი, გონიერი ბავშვია. თითქოს გუშინ იყო, რომ დაიბადა და უკვე სკოლაში მიდის. უყვარს ქართული ლექსები, ზღაპრები. ანდრია ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლაში მიიღებს განათლებას. მას უნდა კიდევ უფრო ნაკითხი და განათლებული ბიჭი გახდეს, გამოადგეს თავის სამშობლოს.

მშობლები: ხათუნა ჭანტურია ლევან სალაყაია ყველანაირად ცდილობენ გიორგის ლაღი ბავშვობა ჰქონდეს. აქედანვე უნერგავენ საყვარელ პირმშოს, უყვარდეს სამშობლო, რომ მიღწეულით არასოდეს დაკმაყოფილდეს და ყოველდღიურად გაიღრმავოს ცოდნა.

მშობლები კიდევ ერთხელ ულოცავენ ანდრიას სკოლაში წასვლას.

უფლის წყალობა და ახლობელთა ლოცვა-კურთხევა არ მოკლებოდეს ანდრია სალაყაიას გზა-სავალს!

სანდრო კილასონია

სანდრო, ცისფერთვალება, ბუთხუზა, საყვარელი ბავშვია. ნიჭიერი, გონებაგამჭრიახი ბიჭუნა დიდი ინტერესით ემზადება სასკოლოდ. არჩეული აქვს სენაკის საერო სკოლა „მარიოტა".

სანდრო №1 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელი იყო. ნიჭიერმა ყმაწვილმა ბაღში ბევრი რამ ისწავლა. იცის ბევრი ლექსი, ზღაპარი, იგავი, შეუძლია მარტივი სააზროვნო სამუშაოების შესრულება. მოძრავი და ენერგიულია, ხალისიანი და მხიარული, ძალიან კონტაქტურია, უყვარს მეგობრები.

ბაღის პედაგოგებთან ერთად მშობლებმა თინათინ კვირტიამ და პაატა კილასონიამ ყველაფერი გააკეთეს, რათა ბავშვს ადრეული ასაკიდან გამოემუშავებინა ქცევის წესებისა და გარკვეული ფასეულობების პატივისცემა. დაე, წარმატებები, გამარჯვებები ყოფილიყოს მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

ელენე მოლაშხია

ელენე მოლაშხიამ დაამთავრა ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენოვანი ბაღი „ანამარია". ელენე ჭკვიანია და მოწესრიგებული. ადვილად სწავლობს ლექსებს. უყვარს ხატვა, კომპიუტერული თამაშები, ანიმაციური ფილმები, ცეკვა, განსაკუთრებით უყვარს ქართული და უცხოენოვანი სიმღერები.

ელენე მოუთმენლად ელოდება სასწავლო წლის დაწყებას. ეჩქარება მასწავლებელთან და მომავალ თანაკლასელებთან შეხვედრა. პირობას დებს, რომ კარგად ისწავლის და დედიკო და მამიკოს გულს გაახარებს.

სალინა გაბელაია და ნუგზარ მოლაშხია ულოცავენ ქალიშვილს ცხოვრების ახალი გზის დაწყებას და უსურვებენ წარმატებებს და ბედნიერ ბავშვობას.

მომავლის სენაკი – უფრო კეთილმოწყობილი და გაღამაზებული

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრში შემავალი ყველა სამსახური პანდემიის მიუხედავად არ გაჩერებულა და გრძელდებოდა ჩვენს ქალაქში დასუფთავება-გამწვანება-გალამაზების სამუშაოები. ბატონი ბადრი მამულია 2016 წლიდან ამ სამსახურის ხელმძღვანელია.

ჩვენი ნომრის სტუმარი მოკლედ გვესაუბრა თავისი ბიოგრაფიისა და ცენტრში შემავალი სამსახურების მუშაობის შესახებ.

ბატონი ბადრი მამულია დაბადა 1963 წელს. დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. 1963 წელს დაიწყო მუშაობა №5 სამშენებლო ტრესტში. სხვადასხვა დროს მუშაობდა №13 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში სამუშაოთა მწარმოებლად, თბილისის ერთ-ერთ საამმართველოში ასევე სამუშაოთა მწარმოებლად, კურორტ მენჯში კაპიტალური რემონტების ინჟინრად.

2012 წლიდან დაიწყო მუშაობა კეთილმოწყობის სამსახურში ტექნიკური უსაფრთხოების ინჟინრად, შემდეგ ინფრასტრუქტურის სამსახურში არქიტექტურის განყოფილების სპეციალისტად. ბოლოს კი კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორად დაწინაურდა.

2016 წლიდან კეთილმოწყობის სამსახური და დასუფთავება გაერთიანდა და დაერქვა საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი, მას შემდეგ არის ამ ცენტრის ხელმძღვანელი. ჰყავს მეულლე, დედა და ქალიშვილი.

ბატონო ბადრი, როგორც მოგეხსენებათ პანდემიამ რთული პირობები შეუქმნა ყველა სამსახურს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია თქვენი სამსახური საკმაოდ დატვირთული იყო ამ პერიოდში. ბოლო ხანებში კი ბევრი რამ კეთდება ქალაქის კეთილმოწყობა-გალამაზებისთვის. კონკრეტულად რა სახის სამუშაოები ჩატარდა (განათება, გამწვანება, დასუფთავება) გთხოვთ მოკლედ გვესაუბროთ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ჩვენი სამსახური ვთვლი, რომ არის მუნიციპალიტეტის ხერხემალი. სწორედ ამიტომ, მიუხედავად პანდემიისა, ვმუშაობდით შეუჩერებლად. ყველა დაუზარებლად აკეთებდა თავის საქმეს. არავის არ ჰქონდა პრობლემა ამ მძიმე პერიოდში გამოსულიყო და ემუშავა. რიგი ღონისძიებები გატარდა გარე განათებასთან დაკავშირებით. ძალიან ბევრ ქუჩაზე მოეწყო ახალი ქსელები.

რაც შეეხება გამწვანების სამსახურს. გაკეთდა მოთიბვითი სამუშაოები. ბოლო პერიოდში მენჯში, ყოფილი სააბაზანოს ტერიტორიაზე შესრულდა დასუფთავება-გაწმენდითი და მოთიბვის სამუშაოები. შესასვლელი პარკი უკვე თითქმის მთლიანად მოთიბულია. რაც შეეხება გამოტანას დროებით შეჩერებულია და ამ კვირის ბოლოს მოხდება სამუშაოს დასრულება.

ჩვენს სამსახურში შედის აგრეთვე საასფლაოების მოვლა-პატრონობა. ანალოგიურად, როგორც ზემოთხსენებული სამსახურები, ესენიც მუშაობდნენ შეუჩერებლად. საჭიროების მიხედვით ხდებოდა მათი გამოძახება, სასაფლაოებზე გასვლა, მიწის ნაკვეთის გამოყოფა და ასე შემდეგ.

გარდა ამისა საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრს აქვს მონიტორინგის განყოფილება, რომელიც აღრიცხავს თუ რომელ ლოკაციაზე რა პრობლემაა მოსაგვარებელი.

ეს იქნება სანაგვე ურნების, გარე განათების თუ სანიაღვრე არხების ამოწმენდის კუთხით. კეთდება მონიტორინგი, გვაწვდიან ინფორმაციას, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გავდივართ ლოკაციაზე და შეძლებისდაგვარად ვაგვარებთ ამ პრობლემებს.

ტრანსპორტის განყოფილებაში გვყავს რვა ერთეული ტრანსპორტი. მოგეხსენებათ ამას ყველაფერს ძალიან დიდი ყურადღება სჭირდება. ისევე როგორც ზემოთხენებული სამსახურები ეს განყოფილებაც ჩვეულ რეჟიმში მუშაობდა.

თუ შეგიძლიათ დაგვისახელეთ ის პიროვნებები, რომლებმაც გამორჩეულად იმუშავეს ამ პერიოდში.

რაც შეეხება პიროვნებებს. სამწუხაროდ ამაზე ვერ გიპასუხებთ რადგან ვერავის გამოვყოფდი, ყველა თანამშრომელი, რომელსაც ეძლეოდა ესა თუ ის დავალება პირნათლად და დაუზარელად ასრულებდა თავის მოვალეობას. კონკრეტულად მათი სახელებისა და გვარების ჩამოთვლას არ ვთვლი საჭიროდ. მხოლოდ შემიძლია ჩამოგითვალოთ სამსახურები, ვისაც მუდმივად უწევდა მუშაობა ესენი არიან: მეეზოვეები, დაახლოებით 35 ადამიანი, ამას ემატება მტვირთავები, სანიაღვრე არხების მუშები, ენერგეტიკოსები, სასაფლაოს სპეციალისტები, მუშა-ზედამხედველები.

სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს სამსახურში არასოდეს ყოფილა პრობლემა იმისა, რომ რაღაცას „ვერ გავაკეთებ“, „არ მცალია“, ან „არ მევალება“. თითოეული თანამშრომელი მუშაობდა შესანიშნავად. სწორედ აქედან გამომდინარე მინდა სათითაოდ ყველას ვუთხრა დიდი მადლობა ამ მეტად მძიმე პერიოდში თავდაუზოგავი შრომისთვის და გვერდში დგომისთვის.

ბატონო ბადრი, თქვენ როგორც სენაკელს, როგორ წარმოგიდგენიათ სენაკის ხვალინდელი დღე ანუ როგორი უნდა იყოს მომავლის სენაკი.

ეს ჩემთვის ძალიან სათუთი თემაა. არა მარტო მე, არამედ ჩემი წინაპრებიც სენაკში არიან დაბადებული. სენაკი ჩემთვის ისეთივე მშობლიური და სათაყვანებელია, როგორც მშობელი დედა. მე სენაკში დავიბადე და გავიზარდე და ბუნებრივიც არის რომ ასე ძალიან მიყვარს.

რაც შეეხება სენაკის ხვალინდელ დღეს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ მომავალში სენაკი იყოს კიდევ უფრო მოწესრიგებული, გამწვანებული და განათებული. მე და ჩემი სამსახური ამისათვის ყველაფერს ვაკეთებთ. ჩემი დიდი სურვილია, რომ აქ მუშაობის პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენო იმისთვის, რომ მომავალ თაობას შეუქმნა მეტი კომფორტი. ეს იქნება ჩემი და ჩემი თანამშრომლების მიერ შეტანილი დიდი წვლილი სენაკის აღმშენებლობა-გალამაზებაში.

და ბოლოს ვისურვებდი რომ სენაკი იყოს კიდევ უფრო მართალი ხალხით დასახლებული, ევროპული სტილის ქალაქი, ამის პოტენციალი ნამდვილად გვაქვს. მთავარია ყველამ ავიღოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ქალაქის კეთილმოწყობა-გალამაზების საქმეში.

გაზეთი „კოლხეთი“ სტუმარს ბატონ ბადრი მამულიას უსურვებს ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და დასახული გეგმების წარმატებით განხორციელებას.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

"დანერგე მომავლის" ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო პროგრამის "დანერგე მომავალი" ფარგლებში კენკროვანი კულტურების ბაღების გაშენების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ქვეყანაში არსებული პანდემიის მიუხედავად სოფლის მეურნეობის პროგრამების განხორციელება არ შეჩერებულა. კორონავირუსის პანდემიის საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში, ახალი ბაღების გაშენების პროცესი, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორციელდება.

მუნიციპალიტეტში ყველაზე მოთხოვნადი სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამა ,,დანერგე მომავლის" - კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტია, რომელიც ფერმერებისთვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას ითვალისწინებს. ბაღების გაშენებისთვის საჭირო ნერგების, სარწყავი სისტემის მოწყობასა და სხვა საჭირო მასალების შეძენას სახელმწიფო პროგრამა 100 % აფინანსებს.

პროგრამაში, რომელიც კენკროვანი კულტურების გაშენების მხარდაჭერას ითვალისწინებს, 25–მდე ადგილობრივი ფერმერი ჩაერთო. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში დაახლოებით 50 ჰექტარზეა მოცვის პლანტაცია გაშენებული.

ჩვენ გავესაუბრეთ ორ მათგანს, რომლებმაც მიმდინარე წელს გააშენეს პლანტაცია

ჯემალ გოქაძე - ლურჯი მოცვი ახალი სასოფლო–სამეურნეო კულტურაა საქართველოსთვის, რომლის დანერგვა თავის პოზიტიურ როლს ასრულებს ადგილობრივი ფერმერების წარმოების და შემოსავლების ზრდის კუთხით. 2020 წელს მივიღე მონაწილეობა მთავრობის მიერ ინიცირებულ პროექტში ,,დანერგე მომავალი" კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტზე. მივიღე დაფინანსება. ნოსირში, სასირიოს უბანში გავაშენე ბაღი, ძირითადად დავრგე ორი ჯიშის ლეგასისა და ბლუკროპის 750 ნერგი. ლურჯი მოცვი ყინვაგამძლე, ბუჩქოვანი, კენკროვანი კულტურაა, რომელიც იძლევა ლურჯი ფერის მრგვალ ნაყოფს. ვერ იტანს გვალვას. ხასიათდება მაღალი მდგრადობით დაავადებების მიმართ. მოშენების პროცესი საკმაოდ რთული და შრომატევადია. საჭიროა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება: ნიადაგის დამუშავება (პლანტაჟური ხვნა), ლურჯი

მოცვი კარგად ხარობს მჟავე ნიადაგზე და ამიტომ აუცილებელი ნიადაგის აგრო-ქიმიური ანალიზი (სიმჟავის დასადგენად), ნიადაგის გადახვნა, ფარცხვა, სფერული კვლების მოწყობა, ნახერხის შეტანა, წვეთოვანი სისტემის მონტაჟი, მულჩირება.

მხოლოდ ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ არის რეკომენდირებული დარგვა. დარგვის შემდეგ საჭიროა ფესვების ზრდის დასაჩქარებლად მკვებავი სასუქის შეტანა, შეწამვლა სოკოვანი დაავადების თავიდან ასაცილებლად. გვალვის დროს აუცილებლად უნდა მოირწყას ყოველდღიურად.

წინასწარ არავინ იცის როგორი მოსავალი იქნება, მაგრამ უტყუარია, რომ მოცვს მზრუნველი ხელი სჭირდება, მასთან ყოველდღიურად უნდა ფუსფუსებდე, რომ შედეგი მიიღო.

ძმებმა ლევან და თემურ მესხებმა ნოსირში გააშენეს მოცვის პლანტაცია. რატომ მიყვეს ძმებმა ხელი სოფლის მეურნეობას და გადაწყიტეს მოცვის მოშენება თემური მოგვიყვება. ,,ყურადღებით გავეცანით სახელმწიფო პროგრამა ,,დანერგე მომავალს", ახალი ქვეკომპონენტი ,,კენკროვანი კულტურები" საშუალებას აძლევს მცირე მწარმოებელს განავითაროს საკუთარი მცირე ფერმერული მეურნეობა და მიიღოს სარგებელი. ლურჯ მოცვზე, მისი მაღალი კვებითი და დიეტური თვისებების გამო მაღალი მოთხოვნაა როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე, ერთობლივად გადავწყვიტეთ, ჩვენც მოცვი მოგვეშენებინა. რადგანაც არცერთი არ ვართ სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ძალიან ბევრი მასალა მოვიძიეთ ინტერნეტში,გავეცანით ბევრ ლიტერატურას მოცვის მოშენების თაობაზე. მხოლოდ შემდეგ მივიღეთ მონაწილეობა მთავრობის მიერ ინიცირებულ პროექტში ,,დანერგე მომავალი" კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტზე. მოგვივიდა დაფინანსება და შევუდექით საქმეს. სულ 0,28 ჰა–ზე დარგული გვაქვს 800 ძირი სამი სახეობის მოცვი. საკმაოდ რთული, ხარჯიანი და შრომატევადი პროცესია. ფაქტიურად იქ უნდა იყო, ჯერ-ჯერობით სხვა არავინ გყვავს დასაქმებული, მე, მამაჩემი და ჩემი ძმა ვმუშაობთ. სავარაუდოდ პირველ მოსავალს მომავალი წლის მაისის თვეში მივიღებთ.

მომავალში მეურნეობის უფრო მეტად განვითარებაზე და სხვა კულტურებით დაინტერესებაზეც ვფიქრობთ. კარგია თუ შეიქმნება სამაცივრო მეურნეობები, რომელიც ხელს შუწყობს მებაღეობის განვითარებას.

ნათქვამია სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერიაო. მოაზროვნე და პრაქტიკოს ფერმერებზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება. ამიტომაც გვჯერა, ისინი თავიანთ მეურნეობას მრვალფეროვანს, მრავალპროფილურს გახდიან.

მაია გერგაია

ვუსურვებთ!

რენატა ხურცილავას და ზურაბ ნინუას ვულოცავთ ოჯახის შექმნას. ვუსურვებთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს. ოჯახი არის სიმყუდროვე, სითბო, სიყვარული, ერთმანეთის გვერდში დოგმა. სწორედ სიყვარულის, ინტერესების, მისწრაფებების და იდეალების თანხვედრა გახდა ახალგაზრდა წყვილის ოჯახის შექმნის საფუძველი.

არ მოკლებოდეს მათ გზა-სავალს უფლის წყალობა.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

„შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად"

ღიმილის ბიჭები

არიან ადამიანები, რომლებიც იბადებიან, იზრდებიან, განათლებას იღებენ, პრაქტიკული საქმიანობითაც კავდებიან, ოჯახს ქმნიან, მრავლდებიან, ქონებას იძენენ-მატერიალურს, ინტელექტუალურს... სულ ბოლოს კი მიუხედავად ყველაფრისა საწუთროდან ისე მიდიან, რომ მათში ნიშანი, ძარღვი პიროვნებისა არ ვლინდება. ასეთები იყვნენ და დღესაც მრავლად არიან. საინტერესოა ადამიანს პიროვნებად ჩამოყალიბებაში რა უწყობს ხელს? ოჯახი?, სკოლა? საზოგადოება? აღზრდა-განათლება?... ალბათ ყველა ერთად, მაგრამ მოგეხსენებათ „მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა". ამაზე დაფიქრების საშუალება ერთი შეხედვით მარტივმა, მაგრამ ხალასმა, უპირობოდ იმედის მომცემმა, საყურადღებო ფაქტმა მომცა, რომელიც თქვენც მინდა გაგიზიაროთ.

ერთ დილით მხარზე თოხებ გადებულმა ბიჭებმა გაიარეს ჭიშკართან. აღმოჩნდნენ ჩვენი უბნელები, რომელთაგან ზოგმა წელს დაამთავრა სკოლა. თურმე მიდიოდნენ იმ კარგი და პატიოსანი პიროვნების ყანის გასამარგლად, რომელიც რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა და დარჩნენ 9-10 კლასელი შვილები.

ერთი სიტყვით მამა-პაპური ნადი გამოუვიდათ. ხუმრობა-ლაღობით, ერთმანეთის გამხნევებით დღის პირველ ნახევარში დაამთავრეს მუშაობა და უკან დაბრუნდნენ. ამის შემდეგ მათ რიგ-რიგობით დაამუშავეს საკუთარი თუ ახლობელთა ყანები. ისე, რომ მათთვის შრომაში შეშველებოდნენ არავის უთხოვია. გამაოცა იმ ბიჭების საქციელმა, ოჯახის თავკაცივით თავს რომ იდვეს ტვირთი საწაღმართო საქმის კეთებისახელი გაეწვდინათ ახლობლებისათვის, ბებია-ბაბუების და სხვათათვის. ახალგაზრდათაგან ერთ-ერთს არმაზ ჯოჯუას ვკითხე- ამ სიცხეში მუშაობა არ გეზარებათ მეთქი? სახალისოა რომ გითხრათ, დამიჯერებთ? აბა ერთმანეთს ხომ არ მივატოვებთ?

გენიშნათ მეგობრებო? ამ ბიჭებისთვის ტეხურში ბანაობა, ფეხბურთის თამაში, გართობა უფრო უპრიანი იქნებოდა, რომლითაც ისედაც არიან დაკავებული, მაგრამ ხედავთ ცხოვრება გამოვლილი, დაბრძენებული, ასაკოვანი კაცივით აზროვნებენ. არმაზმა ყველას სათქმელი გამოხატა: ერთმანეთს ხომ არ მივატოვებთო. ნახეთ რამხელა სულის და გულის ადამიანები დგანან ჩვენს წინ. რომელთა მიზანია ერთმანეთის გატანა და არა ვინმესთვის ფეხის დადება ან ძირის გამოთხრა. ამიტომ ვთქვი რომ ისინი უკვე პიროვნებები არიან მეთქი, ერთმანეთის გატანის, კარგი საქმის გაკეთების, მადლის და შრომის ყადრის მცოდნე ახალგაზრდები. ასეთი თაობაა ქვეყნის დასაყრდენი, მყობადის შემქნელი, რადგან მათში მხოლოდ შრომის, შენების, შექმნის, ცოდნის შეძენის ინტერესია. ამისთანებს დანახვა, დაფასება, წახალისება სჭირდებათ. ამიტომაც უნდა გაგაცნოთ ისინი. არმაზ ჯოჯუა, ნიკუშა ნარსია, გუჯა და შალვა ჩაჩხიანები, გიორგი დემურია, გიორგი ომიაძე.

ნიკუშა ნარსია- მცირეწლოვანი იყო, როცა დედა გარდაეცვალა, ამიტომ ის მამის, ორივეს მხრიდან ბებია-ბაბუის, დეიდას, მამიდა-ბიძიების მზრუნველობით გაიზარდა. ამჟამად გაწვეულია სამხედრო სამსახურში. დარწმუნებული ვარ ჯარშიც ისახელებს თავს. წლები მალე გაირბენს და მონატრებულ დებს, ახლობლებს უფრო მეტად გამყარებული, ვაჟკაცური უნარ-ჩვევევით დაუბრუნდება.

ძმებს **გუჯა დაშალვა ჩაჩხიანებს** შორის 1 წელია განსხვავება. არიან სამეგობროდ საუკეთესონი, ზრდილობიანნი, უფროს-უმცროსის მცოდნენი, უპატიოსნესი დედ-მამისა და ბებიის, წლების მანძილზე ლეძაძამის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგის და საუკეთესო პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ქალბატონის ჯულიეტა ჯანჯღავას შთამომავალნი. სამწუხაროდ მამა-რამინ ჩაჩხიანი ერთი წელია რაც გარდაიცვალა. დედამ ძმების პიროვნული თვისებებით და ცხოვრების წესით უნდა იამაყოს.

გიორგი დემურია- აბიტურიენტი. უწესიერეს ოჯახში გაზრდილი. მშობლების ამაგის დამფასებელი, სწავლისა და შრომისმოყვარული, გამტანი, ერგული მეგობრობაში.

არმაზი ჯოჯუა- დინჯი, აუღელვებელი, დაღვინებული აზროვნებით, პრაქტიკოსი. დრო ყოველთვის განაწილებული აქვს, ვერ იტანს უქმად ყოფნას, ყოველთვის მზად არის სხვათა დასახმარებლად.გატაცებულია სპორტით. სენაკის საფეხბურთო კლუბ „ეგრისში" რამდენიმე წელია თამაშობს. თავიდან 10 წლიანებში თამაშობდა, შემდეგ 19 წლიანებში, ახლა ძირითადი გუნდის შემცვლელი მეკარეა.

გიორგი ომიაძე - შრომისმოყვარე ახალგაზრდაა, თავმდაბალი, გამორჩეული ყოფაქცევით.

ესენი გახლავთ ლეძაძამის საჯარო სკოლის წლევანდელი კურსდამთავრებულები. მათთან ერთად შრომით საქმიანობაში მონაწილეობდნენ ძმები ლუკა და ირაკლი ჩილაჩავები (მე-11-12 კლასის მოსწავლეები), უფროსი ასაკის ბიჭები-ილია კორშია, ბაჩანა დამენია, ირაკლი გოგია და სხვები.

წინსვლა და წარმატება ამ ახალგაზრდებს, რომლებმაც გადაწყვიტეს ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება, მოყვასის გვერდში დგომა, ტრადიციების არ დავიწყება, ქვრივ-ობოლთა გაკითხვა და ა.შ. ისინი უკვე შემდგარი პიროვნებები არიან, ამიტომ საწაღმართო საქმის კეთებას მათ ვერავინ მოაშლევინებს. მომავალი მათია. დალოცვილ იყოს გზა-სავალი თქვენი ღიმილის ბიჭებო!

ნინო სართანია

დაბადებიდან

– 80 –

დღეგრძელობას გისურვებთ

გული კირცხალიას თქვენს წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ის წლებია „კოლხეთის" შტატგარეშე კორესპონდენტია. თუ გაზეთის ფოლიანტად ქცეულ ფურცლებს გადავავლებთ თვალს იქ ქალბატონ გულის სხვადასხვა თემატიკაზე დაწერილ არაერთ წერილსა თუ ლექსს შეხვდებით.

იშვიათია ქალბატონი გულისთანა ადამიანი. უჭირს თუ ულხინს მუდამ ღიმილიანი სახით გვხვდება, გვესალმება, თავს შემოგევლება – „გოლუაფირო" რომ არ გითხრას არ შეიძლება. გამხნევება, თანადგომა მისი უპირველესი უნარჩვევაა. გულისნადებს მხოლოდ სტრიქონებს ანდობს. ყოველთვის რაღაცითაა დაკავებული, თუ არ წერს, კითხულობს, ან სამზარეულოში ფუსფუსებს, ხან ქსოვს, ქარგავს, ღვთისმოსავი ქალბატონი მძიმებით საოცარ ხატებს წერს. განტვირთვას მიწაზე მუშაობით ცდილობს. საკუთარი კორპუსის წინ ყვავილნარი გააშენა,ყოველ დღე მიწას აფხვიერებს, ნერგებს რგავს, გახარებულ-აყვავებულ ყვავილებს ეფერება

სხვათა მომფერებელ ქალბატონს ჩვენც გვინდა ჩვენი წილი სიყვარული ვაჩუქოთ, მარიამობას დაბადებულს საიუბილეო თარიღი – 80 წლის თავი მივულოცოთ და ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და შემოქმედებით წარმატებები ვუსურვოთ.

სპორტი

საჩვენებელი-სახალისო ვარჯიშები

მიმდინარე წლის 8-აგვისტოს ქართული განვითარების ფონდის ინიციატივით ჩატარდა ა.ა.(ი).პ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ "ეგრისში" საჩვენებელი-სახალისო ვარჯიშები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების აღსაზრდელებმა, (მწვრთნელ-მასწავლებელი: ხვიჩა სანაია, თამაზ ხუხუა, ლევან სულაძე) დაგეგმილი ღონისძიების დაწყებამდე ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები პანდემიის პრევენციისა და მისი გავრცელების აღსაკვეთად...

მსგავსი ღონისძიებები ითვალისწინებს ბავშვების სოციალურ აქტივობაში ჩართულობის დონის ამაღლებას, თანამედროვე სტანდარტების დანერგვას და შესაბამისი პროგრამების შემუშავებას.

დასასრულს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა თენგიზ კაციამ სპორტული ეკიპირება და ინვენტარი გადასცა მონაწილეებს. (ბურთები, მაისურები, გადასაცმელები და ნიშნულები) ასევე დაჯილდოვდნენ მწვრთნელ - მასწავლებლები.

მადლობას ვუხდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას,სენაკის აღსაზრდელების, მშობლებისა და მწვრთნელების სახელით. საყოველთაოდ გავრცელებული პანდემიის პერიოდში გამოჩენილი ყურადღებისთვის და არაჩვეულებრივი საჩუქრებისთვის.

საფეხბურთო კლუბ „ეგრისის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ხსოვნა

თამაზ წოწონავა



გარდაიცვალა რაიონის პედაგოგიური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი თამაზ წოწონავა.

დაიბადა 1950 წელს. 1967 წელს დაამთავრა სოფელ ნოქალაქევის საშუალო სკოლა. 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ქუთაისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ნოქალაქევის რვაწლიან სკოლაში ხაზვის მასწავლებლად

1976 წელს თამაზ წოწონავამ სწავლა განაგრძო თბილისის ა.ს. სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ზოგადი ტექნიკური დისციპლინების ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1981 წელს. შემდეგ წლებში თამაზ წოწონავა უძღვებოდა ფიზიკა-მათემატიკის სწავლებას. უყვარდა მოსწავლეები, ვინ მოთვლის რამდენი მოზარდის ნიჭს და უნარს მისცა შესაფერისი მიმართულება, რამდენი აზიარა ცოდნის ამაღლებულ მადლს.

1967-88 სასწავლო წელს უნარიანი და კვალიფიციური პიროვნება გადაყვანილი იქნა ლეძაძამეს საშუალო სკოლის დირექტორად და იმუშავა 1993 წლამდე.

1993-94 სასწავლო წლიდან მუშაობდა ნოქალაქევის საშუალო სკოლის დირექტორად, შემდგომ ამავე სოფლის არასრული სკოლის დირექტორად.

თამაზ წოწონავა გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, პატივს სცემდა კოლეგებს. იყო თბილი და ყურადღებიანი მოსწავლეების მიმართ.

მისმა უდროო გარდაცვალებამ დიდი ტკივილი მიაყენა მეუღლეს ნაირა ბერულავას, შვილებს, ახლობლებს.

თამაზ წოწონავას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

მშვიდობით ძვირფასო კოლეგავ!

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

თამაზ წოწონავა

ღრმა მწუხარებას და გულისტკივილს გამოვხატავ ღირსეული პიროვნების, ნიჭიერი ორგანიზატორისა და საუკეთესო პედაგოგის ნოქალაქევის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის თამაზ წოწონავას გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს.

საამაყოა, რომ თამაზ წოწონავა გახლდათ პედაგოგთა ოჯახური დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი, სახელოვანი თაობების აღმზრდელი და დამკვალიანებელი, სამაგალითო ოჯახის თავკაცი, რომელმაც საამაყო შვილები აღუზარდა ქვეყანას და თუ დღეს ყველანი ვამაყობთ არმაზ და ბაკურ წოწონავების კაიკაცობით, ეს პირველ რიგში, ლამაზად შვილების აღმზრდელი დედ-მამის დამსახურებაა!..

ვაგლახ, რომ სენმა არ დააცალა, დამტკბარიყო სიცოცხლით, შეეგრძნო ვალმოხდილი კაცის კმაყოფილება, ეხარა თავისი შთამომავლობის მიღწევებით... ეჰ, მართლაც რომ წუთია წუთისოფელი და სასტიკი – მისი განაჩენი!...

ნათელში იყავ, ჩემო თამაზ! მაპატიოს შენმა ნათელმა სულმა... ვერ შევძელი უკანასკნელ გზაზე გაცილება...

გწამდეს, რომ მარად იცოცხლებ ჩემში... ფიქრებში... მოგონებებში...

მშვიდობით, ძმაო, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

იზარდი წოწონავა

ჩაუმქრალ კელაპტრად

(ომარ ხარბედიას და თინა გაბულდანის ხსოვნას)



ოჯახის გაძლიერებისთვის, ფუძის სიმკვიდრისათვის, შვილების ნათელი მომავლის შექმნისთვის იღწვოდნენ ომარ ხარბედია და თინა გაბულდანი. გულის სითბოს ერთნაირად უნაწილებდნენ როგორც ოჯახის წევრებს, ისე თანადგომის საძიებლად მოსულ მოკეთე –მოყვარეს“.

ოჯახი სიყვარულით შექმნეს, საოცრად ლამაზი, ჰარმონიული ოჯახი მთელი სანათესაოსთვის მშვიდ ნავსაყუდელს ჰქმნიდა.

ომარ ხარბედია 1938 წელს დაიბადა. იგი გამოირჩეოდა შემოქმედებითი ნიჭით, წერდა ლექსებს. მისი შრომითი საქმიანობის ყველაზე სამახსოვრო დეტალი იყო სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მუშაობის წლები. ის წარმატებულად მონაწილეობდა 1967 წელს მოსკოვში გამართულ სპექტაკლში „ტეხურის პირას“. სახასიათო და ეპიზოდურ როლებში ავლენდა ინდივიდუალობას და მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას. კავშირი ჰქონდა ცნობილ თეატრალურ მოღვაწეებთან. მისი ლექსების წაკითხვისას აღფრთოვანება ვერ დაუმალავთ სენაკში სტუმრად მყოფ გიგა ლორთქიფანიძეს და მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის დასის წევრებს. უყვარდათ და აფასებდნენ ავტოსკოლაში, სხვადასხვა სატრანსპორტო ორგანიზაციებში მუშაობის წლებში.

სამწუხაროდ ნაადრევად 52 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან. მასთან ურთიერთობა სულიერად ამაღლებდა და ამდიდრებდა შვილებს, ახლობლებს, ნათესავებს.

თინა გაბულდანი 1942 წელს დაიბადა. კეთილშობილების მაგალითით ზრდიდა შვილებს, გაბედულად მიაბიჯებდა ცხოვრების რთულ გზაზე. 2020 წელს აღესრულა, დიდი ტკივილი და მონატრება დაუტოვა ოჯახს.

დრო გადის. ომარ ხარბედიამ და თინა გაბულდანმა კეთილ და მნიშვნელოვან საქმეებთან ერთად სახელოვანი შთამომავლები დატოვეს.

შვილები-შორენა, ზვიადი, ალბერტ ხარბედიები არდავიწყების ნათელით მოსავენ მშობლების სახელს. შვილიშვილებს გოგა ჯიბლაძეს, დავით, გიორგი და ქეთევან ხარბედიებს მუდამ საამაყოდ ექნებათ ბებია და ბაბუას მიერ სახელოვნად განვლილი გზა.

უფალი ნათელში ამყოფებს მათ ლამაზ სულებს. ახლობლების ხსოვნაში მუდამ ჩაუმქრალ კელაპტრად ენთება ომარ ხარბედიას და თინა გაბულდანის სახელები.

ნათელი და კვლავაც ნათელი მათ სხივიან სულებს!

ოჯახი

ლადო კუჭავას
არყოფნიდან
30 აგვისტოს
მერვე წელი გადის.
ყველა ჩემსავით
სვეგამწარებულ
მამას

მათ სადიდებლად

მისჯილ სიცოცხლით არსებობა ვით ღვთის წყალობა,
დაუსრულებლად მოლოდინი გარდასულ დღეთა,
ო, რა ძნელია მონატრებულ შვილთა მამობა,
ო, რა მწარეა მიუწვდომელ სიშორის სევდა

ნეტარებაა არსებობა უფალთან ახლოს,
ყველას როდი აქვს ბოძებული ამის უფლება,
იმ სიწმინდეში სანეტარო შვილები სახლობს
ჯვარს გადავსახავთ და სიმშვიდე დაგვეუფლება.

აღარ შორდება ბინდისფერი ლექსის სტრიქონებს,
მწარე დღეები კვლავ გარბიან, როგორც წამები,
უიღბლო შვილებს ჩვენზე უკეთ ვინ მოიგონებს
მათ სადიდებლად ფეხზე ვიდგეთ მათი მამები.

დამირ კუჭავა

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დავით, ნანა, თამარ წერეთელებს ძმის

ვალერიან წერეთლის

გარდაცვალების გამო

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი ჯომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499